მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 13 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) - ცსკა 1:1 (1:1).

"დინამო": მჭედლიძე, პაიკიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცავა (მესხი), შენგელია.

ცსკა: ნოვიკოვი, კრუგლოვი, შვეცოვი, სამოხინი, კობიშჩა, კოვაჩი (გალიამინი), ჩესნოკოვი, ბულგაკოვი, ტარხანოვი, პონომარიოვი, შტრომბერგერი.

მსაჯი: ი. დუტკო (ლვოვი).

დუბლიორები - 1:0. გოლი გაიტანა გურულმა.

...მიმდინარეობდა მატჩის მე-2 წუთი. დინამოელები მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ. საჯარიმო მოედანზე გაიჭრა გუცაევი და ძლიერად დაარტყა კარში. ნოვიკოვმა ძლივს მოიგერია ბურთი კუთხურზე. ათიოდე წამის შემდეგ ასეთივე სწრაფი, მოულოდნელი იერიში განავითარა ცსკა-მ, დინამოელთა მცველის შეცდომით კარგად ისარგებლა ჩესნოკოვმა, მის ძლიერ დარტყმას ძლივს მიუსწრო მჭედლიძემ, მაგრამ მოგერიებული ბურთი ჩაუვარდა ტარხანოვს, რომელმაც ზუსტად ითამაშა - 1:0.

რამდენიმე წუთის შემდეგ დინამოელთა მცველები კვლავ შეცდნენ, კარის წინ კარგად ჩააწოდა იმავე ჩესნოკოვმა და კობიშჩას უძლიერესი დარტყმა ოდნავ აცდა კარს.

ასე დაიწყო ეს მატჩი, რომელსაც დიდი ინტერესით მოველოდით ყველანი. საქმე მარტო ის არაა, რომ თბილისის "დინამოს" ახლა ჰაერივით სჭირდება ქულები. ამ მატჩს სხვა, შეიძლება, უფრო პრინციპული მნიშვნელობაც კი ჰქონდა. ცნობილია, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში სულ ორი-სამი გუნდია, რომლებსაც საერთო ბალანსი დადებითი აქვთ თბილისის "დინამოსთან" შეხვედრებში და ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ცსკა. საჭირო იყო ამ თამაშის მოგება და არმიელთა ეს უპირატესობა მინიმუმამდე დადიოდა. საამისოდ მართლაც ღირდა შეუპოვარი ბრძოლა და თავგანწირული თამაში. ეტყობა, არმიელებმა კარგად იცოდნენ ყველაფერი ეს და შესაძლებლობათა მაქსიმუმი გააკეთეს, რათა თუნდაც მომავალ წლამდე შეენარჩუნებინათ თავიანთი საერთო უპირატესობა.

მოსკოველთა კართან უამრავი კრიტიკული მომენტი შეიქმნა. მასპინძლები უტევდნენ განუწყვეტლივ, სახიფათო მომენტებს თვლა არ ჰქონდა, მაგრამ არმიელები ორგანიზებულად, გეგმიანად იცავდნენ თავს, გარდა ამისა, საკმარისი იყო ოდნავი შესაძლებლობაც და ჩესნოკოვი, პონომარიოვი, შტრომბერგერი ასევე სწრაფად, სახიფათოდ უტევდნენ დინამოელთა კარს.

საპასუხო ბურთი გატანილი იქნა 33-ე წუთზე. გუცაევმა გადაინაცვლა მარცხენა ფლანგზე, კარის წინ ჩააწოდა და იქ დაუცველ პოზიციაში გავიდა შენგელია - 1:1.

შესვენების შემდეგ უდავო საერთო უპირატესობა კვლავ დინამოელთა მხარეს იყო. იყო პერიოდები, როცა თამაში ცალ კარში მიმდინარეობდა, შეტევებს დროდადრო ნამდვილი შტურმის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ თბილისელებმა ვერ შეძლეს ამ დიდი უპირატესობის რეალიზება. შეცვლაზე გამოსულმა მესხმა რამდენიმეჯერ შორი მანძილიდან სცადა კარის აღება, ბევრს ცდილობდნენ შენგელია, სულაქველიძე, შეტევაში ერთვოდნენ ნახევარმცველები და მცველებიც, მაგრამ არმიელებმა ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლეს და შეინარჩუნეს კიდეც ის ფრე, რომელიც მათ ესოდენ სჭირდებოდათ.

კვლავ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ დინამოელები ხშირად ვერ ახერხებენ თავიანთი მნიშვნელოვანი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის მატერიალიზებას. ასე იყო ამ მატჩშიც. ვუტევდით დიდხანს, მაგრამ უშედეგოდ, ამასთან ბევრი გვქონდა ტექნიკური ხასიათის წუნი, იერიშები არ იყო ტაქტიკურად გამიზნული, რა თქმა უნდა, მატჩი, სადაც დინამოელებს ასეთი უპირატესობა გააჩნდათ, მატჩი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო.

რ. ქორიძე.
"ლელო", 15 აგვისტო, 1982 წ.